წარმომადგენლობითი საბჭოს
გადაწყვეტილება № 7-25

გორი 29 11 2022წ.

„სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა და აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეულ სპეციალისტთა სამსახურში მიღების ერთიანი წესის, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 30 ივნისის N09-112 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ლ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 აგვისტოს N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-12 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 28 ოქტომბრის N6-67 დადგენილების საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. „სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა და აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეულ სპეციალისტთა სამსახურში მიღების ერთიანი წესის, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 30 ივნისის N09-112 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და გადაწყვეტილების პირველი პუნქტით დამტკიცებული „სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა და აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეულ სპეციალისტთა სამსახურში მიღების ერთიანი წესის, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების“ მე-12 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 12^1 პუნქტი:

„12^1. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით მოწვეულ სპეციალისტებს, რომლებიც მოწვეული არიან ინგლისური ენის სასწავლო კურსის წასაკითხად, ყოველთვიური შრომის ანაზღაურების გარდა, შესაძლებელია მიეცეთ სახელფასო დანამატი, რომლის ოდენობას, გადახდის წესსა და პირობებს განსაზღვრავს აკადემიური საბჭო.“.

2. კანცელარიის უფროსს დაევალოს ეს გადაწყვეტილება განათავსოს ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას;

3. ეს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით;

4. წინამდებარე გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

სპიკერი კარლო ცერცვაძე